ახალი ხარაგაული

296 (23) 24 აგვისტო, 2015 წ

17 აგვისტოს ბიუროს მორიგი სხდომა გაიმართა

17 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს.

სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილმა ანგარიშმა დეპუტატებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშიდან“ რამდენიმე სტრიქონის ციტირება მოახდინა: „მისასალმებელი იქნება, თუ ჩვენ მიერ მისაღები გადაწყვეტილებებისას ვიხელმძღვანელებთ არა რაიმე ზეგავლენით, არამედ რაციონალური და პროფესიონალური მიდგომით. მნიშვნელოვანია, გაიზარდოს თითოეული ჩვენგანის დამოუკიდებლობის ხარისხი გადაწყვეტილებების მიღებისას“. ვარლამ ჭიპაშვილი დაინტერესდა, თუ რა იგულისხმება დამოუკიდებლობის ხარისხში და ვისზე არიან დამოკიდებული საკრებულოს ნევრები. „საინტერესოა, რატომაა საკრებულოს აპარატში 2 საშტატო ერთეული დღემდე ვაკანტური. შტატების არსებობა თუ აუცილებელი არაა, რატომ არ უქმდება?“ საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, განმარტა, რომ ვაკანტურ ადგილებზე კადრების საჭიროების შემთხვევაში დაასაქმებენ. „ბატონო ვარლამ, რაც შეეხება თქვენს პრეტენზიას, საკრებულოს ანგარიშთან დაკავშირებით, საკრებულომ გამოიტანა თავისი ანგარიში და ამაში თქვენც უნდა მიგეღოთ მონაწილეობა, რათა ერთად მოგვემზადებინა, მაგრამ თქვენ სხდომათა დარბაზი საკუთარი ნების საფუძველზე დატოვეთ. ანგარიში სხვა დეპუტატებთან ერთად მომზადდა და თქვენ ამით არ დაინტერესდით.“

„ჩემი ანგარიში, თუ რა გავაკეთე ჩემი მაჟორიტარობის პერიოდში, ბაზალეთის მოსახლეობას გავაცანი. ბოდიშს ვიხდი, რომ არ დავინტერესდი ანგარიშის საკრებულოს დარბაზში წარდგენით.“ - მიუგო ვარლამ ჭიპაშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს ანგარიშიდან კიდევ ერთი ამონარიდი შეახსენა, ინგა მაღრაძეს. „მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მუნიციპალიტეტის გამგეობას არ წარმოუდგენია სამართლებლივი აქტების პროექტები საკრებულოში, რის წარმოდგენასაც კანონი ავალდებულებთ მათ“. დეპუტატმა საკრებულოს თავმჯდომარეს მოსთხოვა, დაესახელებინა ერთი ისეთი სამართლებრივი აქტის პროექტი, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც მუნიციპალიტეტის გამგეობას ჰქონდა, მაგრამ ვერ წარმოადგინა. მიუხედავად ვარლამ ჭიპაშვილის მოთხოვნისა, საკრებულოს თავმჯდომარემ ვერცერთი ასეთი სამართლებრივი აქტი ვერ დაასახელა.

ბიუროს სხდომაზე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, თორნიკე ავალიშვილმა, ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა. მოხსენებაში აღნიშნავს, რომ გამგეობის მხრიდან ხელშეკრულებები იდება გადაუდებელი აუცილებლობით, როდესაც შესაძლებელია მათი პროცედურული გაკეთება. N1 საბავშვი ბაღში დღემდე გაზიფიცირების პრობლემაა. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ პროექტები კითხვის ნიშნებს ბადებს, როგორც შედგენის, ასევე ხარჯვით ნაწილში. ბიუროს სხდომაზე დაპირისპირება გამოიწვია ასევე, რეგლამენტის დაცვის საკითხმა.

უფრო ვრცლად აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით დეპუტატები 7 სექტემბრის საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურმა ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო. შეხვედრის მიზანი სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ და მიმდინარე პროექტების მოსახლეობისთვის გაცნობაა. 20 აგვისტოს შეხვედრა ხიდრის მოსახლეობასთან გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო სამსახურის უფროსი ბონდო კიკნაველიძე, სამსახურის მთავარი სპეციალისტი ვაჟა მაჭავარიანი და ხიდრის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამსახურის უფროსმა ბონდო კიკნაველიძემ და ვაჟა მაჭავარიანმა დამსწრე საზოგადოებას საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ლიტერატურული კონკურსი - „ოდეონი-10” - ღორეშის მემორიალური მუზეუმის ეზოში გაიმართება

29-30 აგვისტოს ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, ღორეშის მემორიალური მუზეუმის ეზოში გამართავენ ლიტერატურულ კონკურსს „ოდეონი -10". კონკურსში მთელი საქართველოს მასშტაბით შემოქმედი ადამიანები მონაწილეობენ. თემა კონკურსის დაწყების წინ გამოცხადდება. ოდეონს არაერთი მხარდამჭერი ჰყავს, მათ შორის კულტურის სამინისტრო და ქალაქ თბილისის მერია, ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები და მრავალი სხვა. რაც შეეხება კონკურსის ხანგრძლივობას, იგი ორდღიანია.

ლიტერატურულ კონკურს „ოდეონი -10“-ში მონაწილეობაზე 17 კონკურსანტს ეთქვა უარი იმის გამო, რომ მათი მონაცემები კონკურსის პირობებს ვერ აკმაყოფილებდა. შესაძლებელია მოხალისის სტატუსით დაემატოს 1 ან 2 პიროვნება, რომლებიც არ იქნებიან კონკურსის მონაწილე. მათი განაცხადები ჯერ კიდევ იხილება. მათი ჩართვით კონკურსანტთა რიცხვი არ გაიზრდება.

რაც შეეხება კონკურსის შედეგებს, იგი სექტემბრის თვის მეორე ნახევარში გახდება ცნობილი. კონკურსის მსვლელობისას მოეწყობა კონკურსანტთა წიგნების გამოფენა.

ლიტერატურულ კონკურს „ოდეონი-10"-ს გამარჯვებულს გამოავლენს ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

როსტომ ჩხეიძე - მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი (ჟიურის თავმჯდომარე)

ელგუჯა თავბერიძე - მწერალი;

ნინო ვახანია - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მაია ჯალიაშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლიტერატურის კრიტიკოსი;

ივანე ჯაფარიძე - ჟურნალისტი, პროფესორი, გადაცემა " საგანძურის" ავტორი და წამყვანი;

ნანა კუცია - ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ლია კუხიანიძე - ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

თამარ მაღრაძე

საქარიქედსა და იგორეთში წყლის პრობლემა მოგვარდა

ხარაგაულის კეთილმოწყობის სამსახურმა სოფელ საქარიქედსა და იგორეთში წყლის საქაჩი ტუმბოები დაამონტაჟა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ჭაბურღილის მუშაობის შედეგად ამ ორ სოფელში წყლის უხვი მარაგი აღმოჩნდა. წყლის ჭაბურღილი 35 მეტრის სიღრმეზე გაიბურღა. სამონტაჟო სამუშაოებში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა. მათი დახმარებით მოხდება ასევე არსებული ავზებში ჭაბურღილიდან წყლის ამოტუმბვა(60 ტ). საქარიქედსა და იგორეთში წყლის პრობლემა წლებია არსებობს. სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიური მუშაობით და მხარდაჭერით განხორციელდა. დღეს ეს პრობლემა მოგვარებულია. ორი სოფლის მოსახლეობას უკვე წყალი აქვს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა ჩატარებული სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ხარაგაულში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი „ ულიჩინარი“ გაიხსნა

ხარაგაულში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი „ულიჩინარი“ გაიხსნა. პაციენტებს მაღალკვალიფიციური, ფიზიოთერაპევტ–რეაბილიტოლოგი მირზა ინასარიძე და შმაგი კიკნაძე მოემსახურებიან , რომლებიც წლების განმავლობაში ქალაქ სტამბულში მუშაობდნენ. „ულიჩინარი“ მომხმარებლებს ფიზიოთერაპია–რეაბილიტაციას და სამკურნალო მასაჟს შესთავაზებს. ასევე, არის ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი. სეანსი 45 წუთი მიმდინარეობს. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრ „ულიჩინარში“ ძირითადი აქცენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაკეთდება.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი „ ულიჩინარი“ ხარაგაულში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, კიკნაძის №11-ში მდებარეობს. პაციენტების მიღება 9.30 საათიდან 18.00 საათამდე განხორციელდება.

ბაზალეთის ცენტრალური გზის მოასფალტება დაიწყო

ბაზალეთის ცენტრალური გზის მოასფალტება დაიწყო. 2კმ და 50 მეტრი გზა ცენტრამდე, ბაზალეთის საჯარო სკოლამდე მივა. სამუშაოებს შპს „ნიუ ვეივი“ ასრულებს. გზას მთელ სიგრძეზე სანიაღვრე არხები მიუყვება. პარალელურ რეჟიმში ხდება სანიაღვრეების გასატარებელი მილების ჩამონტაჟება. გზის საფარი 5მ სიგანის იქნება. ბაზალეთს ცენტრალურ გზაზე „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მთელ სიგრძეზე გარე განათების სისტემა მოეწყობა. ამისთვის პირველადი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

21 აგვისტოს ბაზალეთის ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა და ფრაქცია „ქრთული ოცნება მრეწველების“ თავმჯდომარემ, იუზა კელენჯერიძემ მოინახულეს.

„ძალიან კარგი საქმე კეთდება, წლების განმავლობაში ვერავინ მოიფიქრებდა ბაზალეთში ასეთი გზა თუ იქნებოდა“ - ამბობს იუზა კელენჯერიძე - „ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ ის, რაც ხარაგაულში ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის კეთდება, ძალიან მნიშვნელოვანია. პირადად მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც კი ოდნავი წვლილი მიუძღვის ხარაგაულის აღორძინებაში, კარგი საქმეების კეთებაში. ძალიან ენერგიული და ნიჭიერი დეპუტატი ჰყავს ბაზალეთს. მუხლჩაუხრელად იბრძვის, რომ სოფელში ბევრი კარგი საქმე გაკეთდეს. ერთიანი და შეკრული ჰყავს სოფელი. ეს ადვილი არაა“.

ბაზალეთი–უბისის ცენტრალური გზის მოასფალტება 3 წლიანი პროექტია და იგი 2017 წელს დასრულდება. ბაზალეთის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია პირველი ეტაპია და სამუშოები 7 სექტემბერს დასრულდება. გზის მშენებლობაზე 7 ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული.

„როგორც ვხედავთ საკმაოდ ხარისხიანი გზა იგება. მოსახლეობისთვის და სოფლისთვის მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ძალიან სასიამოვნოა ასევე, რომ გზას „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში, გარე განათება მთელ სიგრძეზე გაჰყვება. ეს მოსახლეობის არჩევანი იყო. კმაყოფილი ვართ ყველანი. მადლობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც გვერდით უდგას ხალხს და მხარს გვიჭერს ბევრი კარგი საქმის კეთებაში“- გვეუბნება ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს განახლებული საფეხბურთო მოედანი აქვს

18 აგვისტოს სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელობის განახლებული სტადიონი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ცერემონიალში ქორეოგრაფიულ ანსამბლ „უბისის“ მოცეკვავეები მიშიკო ლურსმანაშვილი, ანა შარიქაძე და მომღერალი ნინო ავალიშვილი მონაწილეობდნენ. ამ დღეს სტადიონზე დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების 1/16 ფინალის პირველი მატჩი გაიმართა. ერთმანეთს ხარაგაულის „ჩხერიმელა“ და ქუთაისის „ტორპედო“ დაუპირისპირდა. შეხვედრის დაწყებამდე შესრულდა საქართველოს ჰიმნი და გუნდის კაპიტნებმა საზეიმო ვითარებაში სტადიონზე საქართველოს ეროვნული დროშა აღმართეს.

ფეხბურთის გულშემატკივრებს სტადიონის და სეზონის გახსნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა და ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, მიულოცეს. მათ ხარაგაულის „ჩხერიმელას“ პირველი ლიგის სეზონში წარმატებები უსურვეს.

ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ გამგეობა აპირებს ინიციატივით მიმართოს საკრებულოს, რათა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელას“ მომავალში ლეგენდარული ფეხბურთელის, წლების მანძილზე თბილისის „დინამოს“ კაპიტნის არჩილ კიკნაძის სახელი მიენიჭოს.

ხარაგაულის ფეხბურთელებმა ღირსეულად იბრძოლეს, მაგრამ მინიმალური სხვაობით 1-2 დამარცხდნენ.

ხარაგაულის „ჩხერიმელასა“ და „ტორპედოს“ მორიგი შეხვედრა ქუთაისში 26 აგვისტოს გაიმართება.

მარიანა ბურჯალიანი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს

▶1 ᲒᲒ.

„საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი, რომელსაც ახორციელებს ეკონომიკის სამინისტროს სამეწარმეო განვითარების სააგენტო. მიკრო და მცირე მეწარმეობის პროექტი თავის თავში გულისხმობს მაღაზიას, ხის მცირე საწარმოს, წისქვილს და ა.შ. რომელიც ამ პროექტით შეიძლება დაფინანსდეს.

პირველი ეტაპი არის ბიზნეს-იდეის პროექტი. დაინტერესებულ პირს დეტალურად უნდა ჰქონდეს ბიზნეს-იდეა ჩამოყალიბებული. უნდა იყოს სასაქონლე მასალის მარკა, მოდელი, წარმადობა და ფასი განსაზღვრული. ვებ-გვერდის მეშვეობით ხდება განაცხადის შევსება. ამის შემდეგ ბიზნეს-გეგმის დეტალურ შედგენაში სამინისტრო უფასოდ ეხმარება. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნეს-გეგმა მოეწონათ, ბენეფიციარი 5000 ლარით დაფინანსდება. ბენეფიციარმა, თავის მხრივ, ფულადი თანხით (10%) აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს არის ერთ-ერთი დაზღვევა იმისა, რომ ბენეფიციარი საქმეს არ შეწყვეტს. პროექტის მიხედვით, რამდენიმე მოქალაქეს შეუძლია, გაერთიანდეს და შექმნას კოოპერატივი, თითოეული მოქალაქე 5000 ლარით დაფინანსდება“. ვაჟა მაჭავარიანი მოსახლეობას ასევე ესაუბრა პროექტზე – „დანერგე მომავალი,“ რომელიც სანერგე მეურნეობის გაშენებას გულისხმობს.

ვაჟა მაჭავარიანის ინფორმაციით, სამსახურს პირველ ეტაპზე დაახლოებით ოცდაათმა ადამიანმა მიმართა. აქედან თოთხმეტი გადავიდა მეორე ეტაპზე. ეს პროექტებია: მცირე საოჯახო სასტუმრო, სასათბურე მეურნეობა, ხის სახელოსნოს გაფართოება, აფთიაქის გაკეთება, ჩირის მცირე საწარმოს გახსნა და ა.შ. მიმართულებები შეზღუდული არ არის.

მეორე ეტაპი შემოდგომიდან იწყება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური დაინტერესებულ პირებს დაეხმარება და კონსულტაციას გაუწევს.

შეხვედრები სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ეტაპობრივად გაიმართება.

მარიანა ბურჯალიანი

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ

10 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში, თენგიზ გოგოტიშვილმა პროექტის, „ერთად შევეგებოთ ევროპას", ფარგლებში მოქალაქეებთან შეხვედრა გამართა. პროექტს ევროკავშირი აფინანსებს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან შეხვედრებს ითვალისწინებს. როგორ ფუნქციონირებს ევროკავშირი? რა მოვალეობები აკისრია? რას მიაღწია დღეისათვის თავისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ და როგორი მომავალი ექნება საქართველოს, იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირში გაწევრიანდება – აი ის საკითხები, რასთან დაკავშირებითაც თენგიზ გოგოტიშვილი საზოგადოებას ესაუბრა. შეხვედრაზე, გაიმართა თომა ჩაგელიშვილის ფილმის – „მოგზაურობა ევროპაში“ ჩვენება და დამსწრე საზოგადოებას პასკალ ფონტენის ბროშურა – „12 გაკვეთილი ევროპის შესახებ“ გადაეცა. შეხვედრაზე საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებმა ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორული ურთიერთობების შესახებ ისაუბრეს.

ევროკავშირის საინფორმაციო კამპანია სახელწოდებით „ერთად შევეგებოთ ევროპას“ 2011 წლის დეკემბერში დაიწყო და ის ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის მიერაა დაფინანსებული. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველი ხალხისა და ევროპის დაახლოებას, საქართველოს სწრაფ განვითარებას, კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარებასა და მომავლის ახალი ხედვის ჩამოყალიბებას.

შეგახსენებთ, რომ შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით მოეწყო.

მარიანა ბურჯალიანი

ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით არტერიულ ჰიპერტენზიაზე ლექცია-იცოდე შენი წნევის შესახებ სემინარი ჩატარდა

17 აგვისტოს ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით ხარაგაულის კულტურის ცენტრის დარბაზში ლექცია-სემინარი გაიმართა თემაზე - „არტერიული ჰიპერტენზია - იცოდე შენი წნევის შესახებ“. ლექციას ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი, შმაგი ხიჯაკაძე და იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე, ნანა ბერაძე უძღვებოდნენ. მათ დარბაზში შეკრებილ ხარაგაულის მოსახლეობას არტერიული ჰიპერტენზიის დროს პირველადი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

• რა იწვევს არტერიულ ჰიპერტენზიას?

• როგორ გავიზომოთ წნევა სწორად?

• რატომაა საჭირო მარეგულირებელი პრეპარატების მიღება?

• რატომაა საჭირო წნევის კონტროლი?

ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხობდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი, შმაგი ხიჯაკაძე და იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე, ნანა ბერაძე შეკრებილ მოსახლობას.

შმაგი ხიჯაკაძე - ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დირექტორი:

„დაინტერესება თემის „არტერიული ჰიპერტენზიის“ მიმართ მაღალი იყო. საკმაოდ ბევრი მსმენელი გვყავდა. აღნიშნული აქცია არ იქნება ერთჯერადი. ლექცია-სემინარების ჩატარებას განვაგრძობთ დაბის ტერიტორიაზე არსებულ ორგანიზაციებში სხვადასხვა თემაზე. ასევე ლექციებს წავიკითხავთ მუნიციპალიტეტის სკოლებში. ჩვენი შეხვედრების უმთავრესი მიზანია, რომ მოვახდინოთ მოსახლეობის სწორად ინფორმირება.“

ნანა ბერაძე - იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე:

„ჯანდაცვის სამსახურმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიება ჩაატარა, სემინარი აქტუალურ და მეტად გავრცელებულ დაავადება არტერიულ ჰიპერტენზიაზე. მსმენელები ლექციის მსვლელობაში აქტიურად იყვნენ ჩართული. მაღალი წნევის დროს აუცილებელია, მიმართონ ოჯახის ექიმს. სწორედ მისი პრევენციაა, დაისვას არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზი. ექიმი ასეთ ადამიანებს ჩაუტარებს საჭირო გამოკვლევებს და მისცემს სწორ დანიშნულებას.“

პრეზენტატორებმა შეხვედრის ბოლოს მსმენელებს კიდევ ერთხელ გამუნარტეს, რომ არტერიული ჰიპერტენზია განკურნებადია! თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ საკუთარ თავს, თუ ცოტათი მაინც შეძლებთ თქვენი ჩვეული ცხოვრების წესის შეცვლას, იცხოვრებთ ჯანსაღი ცხოვრების პრინციპით.

• ნუ ეცდებით ექიმის გარეშე მოქმედებას!

• ნუ მიიღებთ მეზობლის ან ახლობლის რჩევით პრეპარატებს!

• დაუშვებელია ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის თვითნებური შეწყვეტა, ვინაიდან არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია!

თამარ მაღრაძე

უბისის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურა ეწყობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, იმერეთის რეგიონში, უბისის მონასტერთან, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი - ჯუანშერ ბურჭულაძე, ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე დავით ტაბიძე და მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების პროგრამების კოორდინატორი სამხრეთ კავკასიაში - აჰმედ აივიდა გაეცნენ.

რეგიონული განვითარების პროექტის მიზანია, წვლილი შეიტანოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებაში და ხელი შეუწყოს საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. პროექტის ძირითადი ბენეფიციარები არიან ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც ტურიზმის განვითარების შედეგად გაუუმჯობესდებათ სოციალური მდგომარეობა, და რეგიონში ჩასული ტურისტები, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ, გაუმჯობესებულ პირობებში გაეცნონ იმერეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და ისარგებლონ ძეგლების მიმდებარედ გამართული ინფრასტრუქტურით.

მიმდინარე პროექტით გათვალისწინებულია: საინფორმაციო ცენტრის, საპირფარეშოების, ავტოსადგომის და მისასვლელი გზის მშენებლობა. ამ დროისთვის, სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ადგილზე დასაქმებულია 20-მდე ადამიანი. პროექტის ღირებულება 1 300 000 (1 320,159) ლარზე მეტია. სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის დეკემბერში. უბისის მონასტერს ესაჭიროება რესტავრაცია, რაც ასევე გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის რეგიონული განვითარების პროექტით. ამჟამად, საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს.

ჩვენო უძვირფასესო ცეკვამცრო, ჯერთო�o თეატრალური ხელოვნების უბრალო მცხოვრო!

შეხვედრა ჭეშმარიტ ხელოვნებასთან

დღეს ბედნიერია ულამაზესი იმერეთის გულღია მასპინძელი - ხარაგაული და მისი მაღალინტელექტუალური საზოგადოება, რომ გხვდებათ თქვენ, ქართული თეატრალური ხელოვნების უფლისგან მადლმოსილ ჭეშმარიტ ხელოვანს.

უძველესი და უმდიდრესი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი სიტყვა „ქურუმის“ რამდენიმე მნიშვნელობას გვთავაზობს:

1. წარმართულ რელიგიაში - კულტის მსახურება, რომელიც ასრულებდა მსხვერპლის შეწირვის რიტუალს;

2. ფიგურალურად:

„ბნელეთის ქურუმია, განვედ!“ (ვაჟა)

„შენს ქურუმად არ მსურს ყოფნა, მწარე ბედქვეშ დანაბადსა“ (ალ. აბაშელი);

3. გადატანითი მნიშვნელობით: ვინც თავგანწირვით ემსახურება მეცნიერებას, ხელოვნებას, საზოგადოებრივი ცხოვრების, ნებისმიერ სფეროს.

ეს სიტყვა, მისი შინაარსი, სრულ შესატყვისობაშია თქვენს პიროვნებასთან, იმ რვა ათეულ წელთან, რომლებზეც ერთ-ერთი ღირსეული ქართველის ღირსეული ნაფეხურებია აღბეჭდილი, შესაბამისია იმ 60 წელთან, რომლის ყოველი დღეც თქვენი სანუკვარი საქმით, თქვენი შემოქმედებითი ძიებით იყო დატვირთულ-გააზრებული.

აქვე დიდი მწერლისა და დიდი მამულიშვილის ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვებიც მინდა გავიხსენო: „მსახიობი ათასჯერ უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე სხვა ხელოვნების ქურუმი.“

ჭეშმარიტად!

ბატონო ლეო!

თქვენ დიდი ქართველი ქალბატონის, ბავშვების ფაქიზი სულის მძერნავის ნინო ანთაძე - ნაკაშიძის შვილიშვილი ბრძანდებით. ქალბატონმა ნინომ საბავშვო ჟურნალ „ნაკადულითა“ და ფასდაუდებელი ლიტერატურულ-მხატვრული შემოქმედებით პატარა ქართველებს სამშობლოს სამსახურის საიმედო გზები უჩვენა.

ბედნიერი ბრძანდებით, რომ ასეთი შემოქმედის შვილიშვილობა გარგუნათ უფალმა. ბედნიერი ბრძანდებით, რომ ბავშვობის წლებიდან, ბებოს წყალობით, თქვენს ფანტაზიას დიდ სამომავლო შემოქმედებით საზრდოს აწვდიდნენ ქართული მწერლობის დიდი კორიფეები, რომლებთანაც ურთიერთობის ატმოსფეროში არაერთი ზაფხული გაგიტარებიათ მწერალთა ქვიშხეთის დასასვენებელ სახლში.

დღეს, სწორედ ამ წუთებში უჩვეულო მეხსიერებითა და არტისტიზმით კვლავ შეგვახვედრეთ დემნა შენგელიას, აკაკი ბელიაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ნოდარ დუმბაძის, გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟებთან, ანა კალანდაძის საოცარი ლექსის ასევე საოცარი დეკლამაციით ნამდვილად „მზისკენ გავფრინდით“,მზეს შევუერთდით თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემლები.

ბედნიერი ვარ, რომ ქართულ სცენაზე თქვენი სპექტაკლების ხილვით („ეზოში ავი ძაღლია“, „ზვავი“, „ხეები ზეზეურად კვდებიან“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და სხვა) არაერთხელ განმიცდია სულიერი აღმაფრენა.

ფასდაუდებელია თქვენ მიერ შექმნილი სახეები კინოხელოვნებაში.

თქვენ ხომ ყველა ჩვენი ოჯახის სასურველი სტუმარი ბრძანდებით სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“ და ჩვენც თქვენთან ერთად, თქვენი ოსტატობით გარდასახულ ჯემალ გოცირიძესთან ერთად პულტით ხელში ვსხედვართ ტელევიზორებთან და ვუყურებთ საინფორმაციო გადმოცემებს...

გმადლობთ, ბატონო ლეო, ქართული ხელოვნების მადლმოსილო ქურუმო!

მადლობა ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობას, კულტურის სამსახურს, ყველა იმ პიროვნებას, რომელთაც ხარაგაულის საზოგადოება ამ უმშვენიერესი წუთების თანაზიარი გახადა.

ბატონო ლეო!

მინდა, ეს პატარა სამადლობელი სწორედ იმ წუთებში შექმნილ პოეტ ნიკო წიკლაურის ექსპრომტით დავასრულო, მასში გამოხატულ ღვთიურ სურვილს ხომ ყველა ხარაგაულელი შეუერთდება.

„ამაგდარ ლეო ანთაძეს
პატივს მოგაგებთ, გაფასებთ,
მეორე წრეზე შეჰყევით
უფრო დიდ სცენა - დარბაზებს!“

ისმინოს უფალმა!

მერი გიორგიძე

ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი

მონატრებული შეხვედრის სიხარული...

რაც უფრო მეტად ვშორდებით ჩვენი ცხოვრების ულამაზეს ხანას-ბავშვობას, მოსწავლეობას, სტუდენტობას-მით უფრო მეტად გვიძლიერდება სურვილი წარსულთან შეხვედრისა, მონატრებული საყვარელი ადამიანების ხილვისა, მოგონებათა სანეტარო ლაბირინთებში სვლისა...

და წუთისოფლის ოკრო-ბოკრო გზებით მავალთ, ყოველდღიურ ყოფით საზრუნავში ჩართულთ, ხშირ შემთხვევაში სურვილი აუხდენელ ოცნებად გვრჩება - დღეები და ღამეები კი მიქრიან „როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები“.

მონატრება, ნოსტალგია განსაკუთრებით უძლიერდებათ წლობით მშობელ მიწას, მშობლიურ გარემოს მოშორებულებს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია იმ სიტყვების ემოციური დატვირთულობა იტალიიდან რომ გაისმა: „თქვენ შემოგევლეთ, თავი ზღაპარში მგონია, ხვალ მოვფრინავ იტალიიდან, მოვფრინავ , როგორც თვრამეტი წლის გოგო, ჩემს ბავშვობასთან შესახვედრად, რა გაათენებს ამ ღამეს!...“ ეს ზიზილო გაბუნია იყო. სიცოცხლის სიყვარულთან, სიკეთესთან და მშვენიერებასთან წილნაყარი ზიზილო გაბუნია.

ასეთ დიდ სიხარულთან შეხვედრის თაოსნები და ორგანიზატორები კი იყვნენ თანაკლასელი „მასპინძლები„: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვლადიმერ გელაშვილი; კულტურის ცენტრის რეჟისორი ლუიზა კიკნაძე; პირველი საბავშვო ბაღის მედდა ნათელა დეკანოსიძე; ეკონომისტი საშა მეტრეველი; კულტურის ცენტრის დაცვის სამსახურის მუშაკი - ზურაბ ბაბლიძე;

***

ის-ის იყო, შემოაბიჯეს მესამე საჯარო სკოლის ფოიეში (იმჟამინდელი ა/კ რკინიგზის ხარაგაულის N10 საშუალო სკოლა) 1989 – 1990 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებმა, რომ გაისმა მათი თანაკლასელის, ნიჭიერებით, ზრდილობითა და სითბო-სიყვარულით გამორჩეული ზურაბ კამკამიძის ომახიანი ხმა:

ბავშვობა - ხის ტოტზე
შემჯდარი
პატარა, ლამაზი ჩიტი -
იმგვარად გაფრინდა,
ღმერთმანი,
თითქოს ქვა მესროლოს
მისთვის...
გაფრინდა შორეულ სივრცეში,
ვითარცა მერნები მზისკენ...
ბავშვობა? სულს ეშმაკს
მივცემდი,
რომ დამიბრუნებოდეს ისევ!

***

- შენ შემოგევლე, გოგო! ვაიმე, სულ არ შეცვლილხარ, ბიჭო! აქ ვეძებ ჩემს ნაფეხურებს, აქ ჩემი ლაღი ბავშვობაა დავანებული! - ისმოდა აქეთ-იქიდან...

„ჩემო კედლებო, ისე მიყვარხართ, როგორც მიყვარდით მაშინ!“ მომესმა, როგორ ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ქალბატონმა და ამბორით მიეახლა სკოლის კედელს, როგორც სალოცავ სიწმინდეს...

ხვევნა-კოცნას, ემოციას საზღვარი არ ჰქონდა...

***

კურსდამთავრებულებს სითბო-სიყვარულით მიესალმა მესამე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი ნანა კვინიკაძე: „წარმოდგენილი მაქვს, რას განიცდით ამ წუთებში. როგორი ამაღლებულია თქვენი განწყობილება. სულ რამდენიმე დღის წინ, ასეთივე შეხვედრის მონაწილე ვიყავი ჩემს თანაკურსელებთან და იმ წუთების სითბო დიდხანს გამყვება ცხოვრებაში.

დაე, მომავალ წარმატებათა მეგზური იყოს ეს დღე, თქვენი მობრძანება, ამ სკოლის კოლექტივისა და აღსაზრდელებისათვის. თქვენ კი მუდამ სიკეთის გზებით სვლას გისურვებთ!

***

იმ წელს ორმა მეათე კლასმა დაამთავრა საშუალო სკოლა (აწ განსვენებული კლასის ხელმძღვანელები: ვერა (ჰერა) ლომსაძე და ავთანდილ ბანცაძე.)

X' კლასში ოცდახუთი მოსწავლე იყო, X'' -ში - ოცდაერთი.

წესისამებრ, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მარადიული სამყაროს მკვიდრ თანაკლასელებს: მამია ტაბატაძეს, ნოდარ ჭანკოტაძეს, თენგიზ შარიქაძეს, მაყვალა კიკნაძეს, თეიმურაზ კურტანიძეს, მანანა ლომსაძეს, ვასილ ლომსაძეს, ლალი გელაშვილს, ნუნუ მაღლაფერიძეს, თამარ კალანდაძეს და მათი ცხოვრების გზამკვლევ პედაგოგებს.

- დიდი სურვილი გვქონდა, რომ ყველას საფლავი მოგვენახულებინა. არ გვინდოდა, რომელიმე მათგანს „გული დასწყვეტოდა“, მაგრამ დრო ამის საშუალებას არ გვაძლევს. ამიტომ რამდენიმე წუთში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიას ვეწვევით და მათი სულების მოსახსენებელ პარაკლისს მოძღვარი მამა ანტონი (სულთანიშვილი) გადაიხდის - მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა კურსდამთავრებულმა ნუნუ ცხადაძემ.

***

ამ სევდიანი წუთების შემდეგ კი მასწავლებლების - მერი გიორგიძისა და ნუნუ ასათიანის წინაშე წარდგნენ კურსდამთავრებულები: ნიჭიერი ეკონომისტები, გულისხმიერი მკურნალები, ფსიქოლოგები, ლიტერატორები, ინჟინრები, ქიმიკოსები, ისტორიკოსები - საამაყო, სასიქადულო ოჯახების თავკაცები და თავქალები, ღირსეული მშობლები, უკვე ბებია-ბაბუები, პაპები და დიდი ბებიები...

და „წარმატებულად განვლილი ორმოცდახუთწლიანი ცხოვრების ატესტატი“ ყველამ დამსახურებულად მოიპოვა.

***

სიხარულით შეკრებილებმა ქართული ლხინის ადათ-წესების დაცვით ქართულ სუფრაზე განაგრძეს ერთურთის მოსიყვარულება. სულის სიღრმეში წვდებოდა თანამეინახეთ ძალზე ერუდირებული, პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ისტორიკოს ავთანდილ ტოროშელიძის სადღეგრძელოები...

არ შეიძლება, დაგავიწყდეს ლუიზა კიკნაძისა და ნიკო წიკლაურის მიერ წარმოდგენილი ხალხურ მოტივებზე შექმნილი „ქალ-ვაჟის გასაუბრება“ (ტექსტის ავტორი ნიკო წიკლაური).

და იყო ზეიმი ამაღლებული სულისა, სიყვარულის იმ დიდი ნიჭისა, რომელიც ასე გვატკბობს, ასე გვახარებს...

***

ძვირფასო კურსდამთავრებულებო!

ნათქვამია „დაკარგულ წუთებს საუკუნეც ვერ დაიბრუნებს!“ ეს სიბრძნე თითოეულმა თქვენგანმა კარგად იცის და შედეგიც სახეზეა. თქვენ იცით დროის, შრომის, სიკეთისა და სიყვარულის ფასი. თქვენი ლამაზი ყოფით ღირსეული კვალი აღბეჭდეთ, რითაც ამაყობს თქვენი აღმზრდელი სკოლა. თქვენც ხომ სიამაყით იმეორებთ ყველგან: მე ხარაგაულის რკინიგზის მეათე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ვარ!

დაე, ცხოვრების მომავალ წლებშიც არ გაგნელებოდეთ ეს ნეტარი სიამაყე!

ღვთისმშობელმა დაიფაროს თქვენი ოჯახური ყოფა, თქვენი კერის სიწმინდე!

მერი გიორგიძე

ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ტყის საკუთრებაში გადაცემის შესახებ შეხვედრა გაიმართა

13 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ეროვნული სატყეო სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, მერაბ მაჭავარიანმა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა, კარლო ამირგულაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ტყის საკუთრებაში გადაცემის შესახებ შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე, გამგებლის მოადგილე თემურ ჩხეიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, შესაძლოა, გარკვეული ფართობის ტყე სარგებლობაში გადაეცეს. ამისთვის საკანონმდებლო ბაზა უკვე არსებობს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერჯერობით, საქართველოში მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემის არცერთი ფაქტი არა დაფიქსირებული. ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატერებელი იმისთვის, რომ განისაზღვროს - რა ოდენობის ტყე უნდა გადაეცეთ მუნიციპალიტეტებს, როდის მოხდება ეს და რა პროცედურებია საჭირო.

სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი, კარლო ამირგულაშვილი, ამბობს: რამდენიმე მუნიციპალიტეტმა, მათ შორის, ხარაგაულმა ტყეების გადაცემის პროცესის დაწყების სურვილი გამოთქვა. ხარაგაულში, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ამ პროცესის დაწყება შედარებით ადვილად მოხდება, რადგან ტყეების ინვენტარიზაცია უკვე ჩატარებულია და მართვის გეგმაც მომზადებულია. გვაქვს ინფორმაცია, ტყის რა რესურსი არსებობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში და როგორ უნდა მოხდეს მართვა მომდევნო ათი წლის განმავლობაში. დღეს ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, მუნიციპალიტეტებს მხოლოდ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები გადაეცემათ თუ დამატებით გარკვეული მომიჯნავე ფართობებიც. მინდა გითხრათ, რომ მუნიციპალიტეტებს, თუ მათ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების მართვაში გადაეცათ, სერიოზული თანხების გამოყოფა მოუწევთ, რადგან დეგრადირებულ ტყეებს განახლება და აღდგენა აუცილებლად ესაჭიროებათ.“

ეროვნული სატყეო სააგენტოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მერაბ მაჭავარიანმა შეხვედრაზე განაცხადა: „ცენტრალური ხელისუფლება მზადაა, ადგილობრივი თვითმმართველობებიდან წამოსული ანალოგიური ინიციატივები ხელშეწყობილ და მხარდაჭერილ იქნას. მოსახლეობა ძალზედ მტკივნეულად განიცდის ხე-ტყეზე მიუწვდომლობას. ამ მხრივ უკვე სერიოზული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ხარაგაულის სატყეო უბანი 47 ათას ჰექტარს მოიცავს, აქედან 25 ათასი შქერითაა დაფარული. ეს კი იმის შედეგია, რომ თავის დროზე ეს ტყეები გაიჩეხა და პრაქტიკულად, განათდა. იმისათვის, რომ ხარაგაულში სათემო-სატყეო მეურნეობა შეიქმნას, პირველ რიგში აუცილებელია ადგილზე სამუშაო ჯგუფი შევქმნათ, რომელიც გარემოს დაცვის სამსახურთან და ჩვენთან ერთად შეისწავლის რა როგორ უნდა გაკეთდეს და რა ინიციატივებია საჭირო. უნდა შედგეს სამოქმედო გეგმა, რომელშიც ყველა ფუნქცია იქნება გაწერილი და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მუნიციპალიტეტმა მიმართოს მთავრობას, რათა დადგენილი წესით მოხდეს ტყეების გადმოცემა.“

დამსწრე საზოგადოებამ სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელების წინაშე იმ პრობლემებზე ისაუბრა, რაც სოფლად მცხოვრებ ოჯახებსა და ავეჯის წარმოებაში ჩართულ მეწარმეებს სამასალე ხე-ტყის მოპოვების შეზღუდვის გამო შეექმნათ.

შეხვედრის ბოლოს დამსწრე საზოგადოებამ წარმატება უსურვა წარმოდგენილ პროექტს და იმედი გამოთქვა, რომ გამოკვეთილი პრობლემები ეტაპობრივად მოგვარდება.

მარიანა ბურჯალიანი

„პოეზია - უპირველეს ყოვლისა“

სულ რამდენიმე თვეა, რაც წარმატებით მოქმედებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროექტი „საქართველოს მოხალისე“. მისი კოორდინატორები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თამარ მაღრაძე და თამარ კამკამიძე არიან. მათი შემართება და ინტერესი უკვე გამოვლინდა ისეთი ღონისძიებებით, როგორებიცაა: ტურ-ლაშქრობა ნუნისში მამათა მონასტერსა და „ბერების კლდეზე“ (მხარდამჭერი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახური - დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი), აქცია დასუფთავების დღესთან დაკავშირებით (მხარდამჭერი „ხარაგაულკეთილმოწყობა“ - დირექტორი მიხეილ ჭიპაშვილი და „ხარაგაულდასუფთავება“ - დირექტორი თემურ ფურცელაძე).

ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით, 12 აგვისტოს, კოორდინატორებმა ლამაზი საღამო აჩუქეს ხარაგაულელ ახალგაზრდა პოეტებსა და პოეზიის თაყვანისმცემელ საზოგადოებას (მხარდამჭერები - შოთა ბუაჩიძის სახელობის ხარაგაულის სამუსიკო სკოლა -დირექტორი ქალბატონი ლალი ალექსიძე, კულტურის ცენტრის თანამშრომელი - დავით კვირიკაშვილი)

პოეტებმა დავით ჯიმშიაშვილმა, შოთა გოლუბიანმა, თამარ ჭყოიძემ შესანიშნავი ლექსები წაიკითხეს სამშობლოზე, სიყვარულზე, მაღალ ადამიანურ ღირებულებებზე.

საყვარელი ბაბუის, ან განსვენებული ჯემალ მაღრაძის, ლექსები აამეტყველა შვილიშვილმა ანი სიხარულიძემ. შესატყვისი ემოცია ახლდა თამარ ჩხიკვაძის წაკითხულ ლექსს.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ძალზე სასიამოვნო იყო ქალბატონ მერი გიორგიძის შეფასება ამ ღონისძიებაში ჩართულ ყველა მონაწილისა და დამსწრე საზოგადოების მიმართ. ხაზი გაესვა ახალგაზრდა შემოქმედთა ნიჭიერებას, გრძნობათა გამოხატვის სისადავეს. მან სიხარული გამოხატა შოთა გოლუბიანის პოეზიის პირველი კრებულის „ღმერთთან ახლოს“ გამოსვლით და დაჰპირდა, რომ ახალ სასწავლო წელს მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეთა ძალებით აუცილებლად მოეწყობა ამ წიგნის პრეზენტაცია.

„საქართველოს მოხალისეს“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კოორდინატორები მადლობას უხდიან სამუსიკო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლალი ალექსიძეს ჩვეული გულისხმიერებისა და თანადგომისათვის. ასევე კულტურის ცენტრის თანამშრომელს, დავით კვირიკაშვილს, რომელმაც მაღალ დონეზე განახორციელა ტექნოლოგიური საშუალებებით პოეზიის საღამოს ჩატარება.

მარიანა გურჯალიანი

ნუნისში, სანატორიუმის ტერიტორიაზე კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის აქცია ჩატარდა

ხარაგაულის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის აქციას განაგრძობს. ცენტრის ენტომოლოგიური სამსახურისა და ხარაგაულის გამგეობის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის (უფროსი ნანა კიკნაძე) ინიციატივით, კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის აქცია სოფელ ნუნისში, სანატორიუმის ტერიტორიაზე, ჩატარდა.

ანალოგიური აქცია ჩატარდა ხარაგაულში, ანზორ კიკნაძის ქუჩაზეც. აქ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებმა დაჭაობებული ადგილები ამოავსეს.

გაზაფხული და ზაფხული ის პერიოდია, როცა მწერებისაგან გადამდები დაავადებები აქტიურდება. კოღოს ნაკბენით გამოწვეული დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ასეთი კერების ამოშრობა–გასუფთავება მნიშვნელოვანია. კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის აქციებს ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მომავალშიც განაგრძობს.

როგორ ვებრძოლოთ კრაზანებს?

რამდენიმე წელია, რაც ხარაგაულის მოსახლეობას საშიში მწერის კრაზანას მომრავლება აწუხებს. მოსახლეობის აქტიური მომართვებიდან გამომდინარე, ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) მოსახლეობას შემდეგ რეკომენდაციას აძლევს:

გამოიყენონ ნივთიერება „ალპაკი“ (რომელიც შხამ-ქიმიკატების მაღაზიაში იყიდება) 100 გრ. იხსნება 10 ლიტრ წყალში. მიღებული ხსნარი ვენახის მანქანით უნდა შეასხათ იმ ადგილებში, სადაც კრაზანების ბუდეა.

მითითება: აუცილებელია შეწამლვა მოხდეს ღამის საათებში. პირი, რომელიც ოპერაციას ასრულებს, უნდა იყო დაცული (თავზე უნდა ეხუროს მეფუტკრის ქუდი და არ უნდა უჩანდეს სხეულის შიშველი ნაწილი, ხელებზე აუცილებლად უნდა ეცვას ხელთათმანი).

ასევე კარგი და ეფექტურია ადუღებული წყალი, რომელიც გაჩენილ ბუდეებში უნდა შეასხათ.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კრაზანამ გიკბინათ:

1. ნაკბენ ადგილზე დაიდეთ ყინულის ნატეხი.

2. მიიღეთ ალერგიის საწინააღმდეგო პრეპარატები (სუპრასტინი, ტავეგილი, დექსამეტაზონი (ამპულაში)... და გამოიძახეთ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ დასახლებული პუნქტიდან მოშორებით მიდიხართ (მთაში, ტყეში, სასურველია, თან იქონიოთ ზემოთ ხსენებული პრეპარატების აბები.

ქუჩის კალათბურთი დაიწყო

17 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ინიციატორთა კავშირის“ ინიციატივით (თავმჯდომარე გიორგი მესხი) ქუჩის კალათბურთი დაიწყო. იგი ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ხორციელდება. აღნიშნული ღონისძიება ორგანიზატორთა მიერ უკვე მეოთხედ ტარდება. თამაშებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 12 გუნდი მონაწილეობს. თითო გუნდი ხუთი მოთამაშეთაა დაკომპლექტებული. ასევე მაყურებელთათვის ტარდება წამახალისებელი გათამაშებები, რომელშიც გამარჯვებული დაჯილდოვდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2015-2017 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 თებერვლის №23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ მე–2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2015 - 2017 წლებში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხარაგაული - ფარცხნალის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპის სამუშაოების პროექტი (თან ერთვის).

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს (მ.ფხალაძე)

მუხლი3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 მუხლით დადგენილი წესით.

პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 156–ე მუხლის მე-5 პუნქტის, საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე–16 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და ზღვრული ოდენობა (დანართი №1).

მუხლი 2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის

28 ივლისის №24 დადგენილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“

(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 01/08/2014)

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 5 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

ДАНАРТИ №1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს

თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

მუხლი 1. საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა)

საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მიერ საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა) განისაზღვრება 357 ლარით.

მუხლი 2. საკრებულოს წევრებისთვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის ხარჯის ანაზღაურება

1. საკრებულოს თითოეული წევრისთვის ამ დადგენილების პირველ მუხლში მითითებული ასანაზღაურებელი ხარჯის ოდენობა, რომელიც დაკავშირებულია საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღებასთან, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა, განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მიწოდებული ინფორმაციის (მოხსენებითი ბარათის) საფუძველზე.

2. ხარჯების ანაზღაურების კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისთვის შესაძლებელია, გათვალისწინებულ იქნეს საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებში, ასევე საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფებში საკრებულოს თითოეული წევრის ფაქტობრივი დასწრების მონაცემები. ამ მონაცემების საფუძველზე საკრებულოს აპარატის უფროსი ინფორმაციას (მოხსენებით ბარათს) ადგენს, როგორც წესი, წინა თვის 15 რიცხვიდან მიმდინარე თვის 20 რიცხვის ჩათვლით არსებული მდგომარეობით (თუ შესაბამისი რიცხვი ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე ან/და დასვენების დღეს - მომდევნო სამუშაო დღის) არა უგვიანეს მიმდინარე თვის 15 რიცხვის (ან შემდგომი სამუშაო დღის) მომდევნო სამუშაო დღეს. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საკრებულოს კონკრეტული წევრებისთვის განსაზღვროს ანაზღაურების ნაკლები ოდენობა, თუ საკრებულოს რომელიმე წევრის (წევრების) მიერ საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების (დასწრების) ფაქტობრივი მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება (ნაკლებია) სხვა წევრების დასწრების ფაქტობრივი მონაცემებისგან.

მუხლი 3. საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების დარიცხვა.

მუნიციპალიტეტის გამგეობა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების დარიცხვას უზრუნველყოფს, ყოველთვიურად, ამ დადგენილებით გათვალისწინებული საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის № 20 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის № 20 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 07/05/2015).

1. შეტანილი იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ №1დანართში და დანართის

მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„ვ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, დაფინანდეს დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულების 30%, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლისათვის ღირებულების - 70%“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე,

საკრებულოს თავმჯდომარე

ინგა მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12